**ვებ გვერდის მფლობელი:**

**კომპანიის სახელწოდება: შპს „მალე დელივერი“**

**რეგისტრირებული მისამართი:** თბილისი, ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 211, კორპუსი 2, მეოთხე სართული

**საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405660422

**ტელეფონი: +995 591 61 77 99**

შპს„მალე დელივერი“-ს ვებსაიტი, მობილურ აპლიკაცია და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საიტი წარმოადგენს შპს-ს საკუთრებას და ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის.

## შპს „მალე დელივერი“-ს მიერ მომხმარებლისათვის თანხის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება:

შპს „ მალე დელივერმა“ შეეძლება მოახდინოს მომხმარებლისათვის თანხის დაბრუნება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ დადგინდება, რომ ზიანი გამოწვეული იყო შპს ქმედების შედეგად. შპს პასუხისმგებელია მისი თანამშრომლის, კურიერის მიერ არასათანადოდ შესრულებული ან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსათვის და მომხმარებლის მიერ შეკვეთილი პროდუქტის განზრახ ან გაუფრთხილებელი დაზიანებისათვის. მოცემულ შემთხვევაში შპს მოახდენს შეკვეთის გაუქმებას თანხის დაბრუნებას და მის მიერ მიყენებული ზიანს სრულად ანაზღაურებას.

თუ დადგინდება, რომ მომხმარებელი, რომელიც ითხოვს შეკვეთის გაუქმებას თანხის დაბრუნებას ან/და ზიანის ანაზღაურებას, თაღლითურად გამოიყენა აპლიკაცია, შპს მიერ მომხმარებლის მოთხოვნა უარყოფილი იქნება.

შპს იხსნის პასუხისმგებლობას მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის უხარისხო,დეფექტური ან/დაზიანებული პროდუქტის მოწოდებაზე, მოცემულ შემთხვევაში თანხის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მოვაჭრეს.

**მომხმარებლის მიერ შეკვეთების გაუქმება**

მომხმარებელი მას შემდეგ, რაც აპლიკაციის საშუალებით მოახდენს შეკვეთას და კურიერი და მოვაჭრე მიიღებენ შეკვეთას, მომხმარებელს აღარ ექნება ანაზღაურების გარეშე მომსახურების მოთხოვნის უფლება.

მომხმარებელს უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა/შეკვეთები, რა დროსაც აღარ მოხდება შპს მიერ მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე შეკვეთის მიტანა, მომხმარებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი თანხა.მომხმარებელმა შეკვეთა უნდა გააუქმოს სანამ მოვაჭრე დაიწყებს შეკვეთის მომზადებას. (მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაუქმებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი შპს ან/და მოვაჭრეს).

**მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაუქმების გადასახადი:**

თუ მოვაჭრეს უკვე მიღებული აქვს შეკვეთა და დაიწყო მისი მომზადება, და ამ დროს მომხმარებლის მიერ მოხდა შეკვეთის გაუქმება პროდუქტის საფასურის 50 % გადახდა დაეკისრება მომხმარებელს.

მომხმარებელი თავისუფლდება მის მიერ გაუქმებული შეკვეთის გადასახადისაგან თუ მოვაჭრეს არ დაუწყია პროდუქტის მომზადება ან/და შპს-ს არ დაუწყია შეკვეთის დამუშავება.

მომხმარებელს შეეძლება, გაუქმოს შეკვეთა აპლიკაციის მეშვეობით, რა დროსაც მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია შეკვეთის გაუქმების წესი და პირობების და გაუქმების შედეგად დაკისრებული გადასახადის თაობაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ,,მალე დელივერის" მიერ მიერ შეკვეთის გაუქმება:

შპს ,,მალე დელივერი"-ს მიერ უსაფუძვლოდ ან სათანადო მიზეზის არსებობის გარეშე შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში შპს ვალდებულია აცნობოს მომხმარებელს მისი შეკვეთის გაუქმების შესახებ. შპს ინიციატივით უსაფუძვლოდ ან სათანადო მიზეზის არსებობის გარეშე შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში შპს სრულად აბრუნებს მომხმარებლის ანგარიშიდან ან/ საკრედიტო ბარათზე დაკავებული თანხას, ასევე დაბრუნებას ექვემდებარება მომხმარებლის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხა, შპს მომხმარებელი თანხას ჩაურიცხავს მომხმარებელს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, შეკვეთის გაუქმებიდან 24 საათის განმავლობაში.

თუ შპს-მ გააუქმა მომხმარებლის მიერ მიღებული შეკვეთა იმ მიზეზების გამო, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული შპს-თან და მის კონტროლის მიღმაა (მაგ: მარაგის ნაკლებობა, ფასის ცვლილება მოვაჭრის მიერ და ა.შ.). შპს ,,მალე დელივერი"-ს წარმომადგენლები დროის უმოკლეს პერიოდში დაუკავშირდებიან მომხმარებელს, აცნობებენ შეკვეთის გაუქმების შესახებ, განუმარტავენ შეკვეთის გაუქმების მიზეზს და ასევე მიაწვდიან ინფორმაციას სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატივების და ხარჯების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შეკვეთის გაძლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მომხმარებელი. შპს მიერ შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში მომხმარებელი სრულად თავისუფლდება გადასახადისაგან.

**მალფუჭებადი პროდუქტების დაბრუნება შეკვეთის გაუქმება:**

მომხმარებელს უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა და მოითხოვოს მალფუჭებადი პროდუქტის დაბრუნება. შეკვეთის გაუქმების ან/და მალფუჭებადი პროდუქტის დაბრუნების მოთხოვნის წარდგენამდე მომხმარებელი ვალდებულია კურიერთან ერთად შეამოწმოს შეკვეთილი მალფუჭებადი პროდუქტის ხარისხი. მომხმარებელი ვალდებულია წარმოადგინოს მალფუჭებადი პროდუქტის ფოტო როგორც მტკიცებულება იმისა,რომ მოთხოვნილი პროდუქტი არ შეესაბამება ხარისხით შეკვეთილ პროდუქტს.გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით მოხდეს თუ არა მალფუჭებადი პროდუქტის დაბრუნება არ დაბრუნება იღებს მოვაჭრე და არა შპს ,,მალე დელივერი".

შეკვეთის გაუქმების და მალფუჭებადი პროდუქტის დაბრუნების შემთხვევაში მოვაჭრე ერთპიროვნულად გადაწყვეტს, როგორ განახორციელოს თანხის დაბრუნება მომხრელისათვის (ნაღდი ფული, საკრედიტო ბარათი, ობიექტის ვაუჩერი და ა.შ.).

მომხმარებელი ვალდებულია შპს ,,მალე დელივერ"-ს წერილობით აცნობოს მოვაჭრის მიერ შეკვეთის გაუქმების, მალფუჭებადი პროდუქტის ან თანხის დაბრუნების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების, ან მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დავის დაწყების შესახებ.

**ფასდაკლებები:**

შპს ,,მალე დელივერი" ნებისმიერ დროს უფლებამოსილია აპლიკაციის საშუალებით მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, ფასდაკლებების, აქციების, უფასო გადაზიდვების ან/და ნებისმიერი სხვა სახის პრომოაქცია შესახებ.

მომხმარებელი ეთანხმება, რომ ნებისმიერი ფასდაკლება ან პრომოაქცია უნდა იქნეს გამოყენებული შპს ,,მალე დელივერი"-ს მიერ დადგენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში. თუ ფასდაკლების ან პრომოაქციის შეტყობინების მომენტში მითითებული არ არის პრომოაქციის ან ფასდაკლების მოქმედების ვადა, ასეთ შემთხვევაში მოქმედების ვადა იქნება სამი თვე იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლისთვის.

მომხმარებელი ეთანხმება, რომ ნებისმიერი ფასდაკლება ან პრომოაქცია შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ გარკვეულ პროდუქტებსა ან მომსახურებებზე, რომლებიც შემოთავაზებულია შპს ,,მალე დელივერი"-ს აპლიკაციით, ან/და კონკრეტულ გარემოებებსა და პირობებში (მაგ: პირველი შეკვეთა, შეკვეთა დროის გარკვეულ პერიოდში, გარკვეული ტიპის შეკვეთა და ა.შ.).

პრომოაქციის ან/და ფასდაკლების გამოყენებამდე მომხმარებელი ვალდებულია გადაამოწმოს ინფორმაცია, დარწმუნდეს, რომ ფასდაკლება და პრომოაქცია ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ პროდუქტებსა ან მომსახურებებზე და ფასდაკლება ან პრომოაქცია კვლავ ძალაშია.

მომხმარებელი ეთანხმება, რომ ფასდაკლება ან პრომოაქცია მოქმედებს მხოლოდ ერთხელ და შეიძლება შეიზღუდოს სხვადასხვა მიზეზით მაგ: პროგრამის ტექნიკური ხარვეზის გამო, აქციაში მითითებული პროდუქციის მარაგის ამოწურვის გამო და ა.შ

შპს ,,მალე დელივერი" უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ნებისმიერო ფასდაკლებასა, პრომოაქცია თუ შეთავაზება, თუ შეიტყობს,რომ მომხმარებლის მხრიდან ადგილი აქვს აღნიშნულის თაღლითურ გამოყენებას.

შპს ,,მალე დელივერი" უფლებამოსილია მომხმარებელი დაასანქციროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შპს დაზარალდა გამოვლენილი თაღლითობისგან. შპს უფლებამოსილია მოახდინოს მომხმარებლის ანგარიშის შეჩერება ან გაუქმება.

**აკრძალული ნივთების პოლიტიკა:**

წარმოგიდგენთ იმ ნივთების არასრულ ჩამონათვალს, რომელთა შეკვეთა და მიწოდება აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით:

1.კონტრაბანდული და არალეგალური ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმი, ნებისმიერი მსგავსი სახის პროდუქტი,აკრძალული თესლების, ზიანის მომტანი მცენარეები, საფრთხის შემცველია ნივთიერებები;

2.ნებისმიერი სახის პორნოგრაფიული მასალა როგორც ვიდეო ასევე ბეჭდური მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი მასალა ან კონტენტი, რომელიც აღიქმება, როგორც პედოფილია.

3.საავტორო უფლებით დაცული წიგნები, არალიცენზირებული მხატვრული თუ მუსიკალური ნაწარმოები და მასალა, არა სანქციონირებული პროგრამები, ვიდეოთამაშები და ა.შ;

4.ყალბი დიზაინერული პროდუქტი და სხვა არა სანქციონირებული საქონელი;

5.არასანქცირებული და საფრთხის შემცველი ციფრული მოწყობილობები,ხელსაწყოები, მოდემები, ჩიპები, მეხსიერების ბარათები და ა.შ.

6. ნარკოტიკები, ფსიქოაქტიური და მცენარეული ნარკოტიკები, ფსიქოდელიური სოკო, და მასალები, რომლებიც ხელს უწყობს მათ გამოყენებას;

7.ფეთქებადი, აალებადი, კოროზიული, ამომჭმელი, ტოქსიკური ნივთიერებები;

8.ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტები, დამხმარე სამედიცინო მოწყობილობები;

9.მოპარული ან არალეგალური საქონელი;

10.არალეგალური სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა;

11.სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებული ნებისმიერი საქონელი ან პროდუქტი;

12.კულტურულად დაცული არტეფაქტები;

13. პიროტექნიკური მოწყობილობები და საშიში ნივთიერებები, რომლებიც სპეციალურ ნებართვას საჭიროებს;

14.ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, საბრძოლო მასალა,საბრძოლო ხელოვნების იარაღები, მაყუჩები, სავაზნე კოლოფები და ა.შ.

15.უცხოური ვალუტა , ძვირფასი ლითონებით, ბანკნოტები, მონეტები და ნებისმიერი სხვა ღირებული ფასიანი ქაღალდები;

შპს ,,მალე დელივერი“ უფლებამოსილია, უარი განაცხადოს არასრულწლოვანთა სახელით განთავსებულ შეკვეთებზე. შეკვეთებზე,ასევე შეკვეთებზე, რომლებიც განთავსდა დაწყებითი ან საშუალო სკოლის მახლობლად, შპს უფლებამოსილია შეკვეთის ჩაბარებამდე მოითხოვოს ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა;

**კონტენტის კონტროლი ან შეცვლა**

შპს ,,მალე დელეივერი“ უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს კონკრეტულ მომხმარებლის აპლიკაციაზე წვდომა,შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, შეაჩეროს, დაბლოკოს ან ამოიღოს გარკვეული ტიპის კონტენტი თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ აქტივობა ან შენახული ინფორმაცია უკანონო ან საზიანოა მესამე პირის უფლებების ან საკუთრების მიმართ. შპს ,,მალე დელივერი“ არ დაუშვებს შეურაცხმყოფელი ენის გამოქვეყნებას ან/და

შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, მისი თანამშრომლების, მოვაჭრეების, ან აპლიკაციაში საშუალებით კონტენტში გამოქვეყნებულ და ჩართული ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

შპს „მალე დელივერი“-მა, შექმნას ფილტრი, რომელიც შპს-ს დაეხმარება რათა არ მოხდეს მომსახურების უკანონო გამოყენება ან საზიანო კონტენტის ინტერნეტში ატვირთვა. მომხმარებელს ან ნებისმიერ მესამე პირს შეუძლია დაუკავშირდეს შპს-ს აპლიკაციის მეშვეობით, და მიაწოდოს ინფორმაცია აპლიკაციაში უკანონო კონტენტის არსებობა. შპს შეისწავლის მიწოდებულ ინფორმაციას. ინფორმაციის შესწავლის შემდეგ შპს „მალე დელივერი“ იმოქმედებს კანონის შესაბამისად და გადადგამს ქმედით ნაბიჯებს პრობლემის მოსაგვარებლად.

**ურთიერთთანამშრომლობა საქველმოქმედო პროექტები;**

შპს „მალე დელივერი“-ს შეუძლია ითანამშრომლოს სხვადასხვა დაწესებულებებთან, კორპორაციულ ჯგუფებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფონდებთან ან კავშირთან და მათთან ერთად განახორციელოს საქველმოქმედო და სოლიდარობის გამომხატველ პროექტები.

**გეოლოკაცია**

შპს“ მალე დელივერ“- უფლებამოსილია მომხმარებლის ნებართვის საფუძველზე, შეაგროვოს, გამოიყენოს ან გააზიაროს მომხმარებლის მდებარეობის ზუსტი მონაცემი, მათ შორის, კომპიუტერის ან მობილური მოწყობილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. მომხმარებლის თანხმობის შემიხვევა შპს „მალე დელივერი“ მოახდენს გეოლოკაციის მონაცემის გაზიარებს მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი შეკვეთის წარმატებით შესასრულებლად. მონაცემთა კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიხედვით, მომხმარებლებს შეუძლია უარი განაცხადოს მისი გეოლოკაციის მონაცემების გაზიარებაზე.

**მომხმარებლის ანგარიშის დეაქტივაცია**

შპს „მალ დელივერი“ გამოავლენს თუ არა მომხმარებლის მიერ ანგარიშის ბოროტად ან თაღლითურად გამოყენების ნიშნებს, უფლებამოსილია, ავტომატურად, მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოახდინოს ანგარიშის დეაქტივაცია.

**დავის გადაწყვეტის წესი და პირობები:**

შპს „მალ დელივერ“-სა და მომხმარებელს შორის არსებული დავის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მორიგდებიან, დავის გადასაჭრელად მხარეები მიმართავენ სასამართლოს.